შაბათი 1919 წ. თებერვლის 8 № 30

ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე [illegible]

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. [illegible]

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდე, [illegible]

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოს“ ხელის მოწერის ფასი [illegible] — 40 მ. [illegible] 15 მანეთი. [illegible] კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

სიმონ სიმონის ძე ასათიანი და შვილები [illegible] დიდი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 30 იანვარს, [illegible] გარდაიცვალა მათი მეუღლე და დედა

მარგალიტა (მაგატო) ოტია გარდაფხაძის ასული

ასათიანისა.

პანაშვიდი ყოველ დღე. გამოსვენება და დასაფლავება [illegible]

(1—107—4)

სიმონ კონსტანტინეს ძე, თამარ ალექსანდრეს ასული, თამარ კონსტანტინეს ასული და ივანე კონსტანტინეს ძე სიდამონ-ერისთავები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათი

თავად ირაკლი ლევანის ძე

სიდამონ-ერისთავის

გარდაცვალებას.

(1—2089—1)

[illegible]

თავადი ირაკლი ლევანის ძე

სიდამონ-ერისთავი

გამოსვენება შაბათს დილის 9 საათ. ს. თებერვალს 8-ს მიცვალებულის სახლიდან დიდი მთავრის ქუჩა № 75 [illegible] დაკრძალვა [illegible]

1—2089—1

მარიამ გრიგოლის ასული, იოსები, ბარბარე, რომანი, ქეთევან, [illegible] ... აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 6 თებერვალს გარდაიცვალა საყვარელი [illegible]

ალექსანდრე იოსების ძე

სიმონიშვილი.

პანაშვიდი ყოველ დღე, სიონის ტაძარში, საღამოს 6-ს საათზე. [illegible]

(1—2090—1)

[illegible]

სოსო (იოსებ) ბერელაშვილის

[illegible] 11 საათზე, [illegible]

(1—2091—1)

სარაჲი „ძმური ნუგეში“

შაბათს, თებერვლის 8-ს გამართავს საყურადღებო სალამო-კაბარე

მონაწილეობენ: მომღერალი ბლასოვისა, თამარ მაჩაბელი, მსახიობი დიმოვი, მომღერალი ინიშვილი, გვარამაძე (როიალზე) (ბექანიშვილი, ილიკო აბაშიძე (ციილონჩელი) ი. გრიშაშვილი თ. მჭედლიშვილი და სხვ. (ლექსთა თქმა).

დილიდან სარაიეში იქნება ბ ლ ი ნ ე ბ ი, ხაჭაპურები, ლევზილები, ქადები და სხვა და სხვა ნამცხვარი თუ ტკბილეული.

სადილი და ვახშამი (ღვინით), განსაკუთრებით ამ დღისთვის საგანგებოდ დამზადებული. ყავახანა ღია იქნება გათენებამდე, კაბარე ღამის 11 საათზე დაიწყება.

1—2092—1

დაიკარგა

9 (ცხრა) ქართული ქუდაჯა

გზაში, ბათომიდან — ნატანებამდე

მპოვნელს დავაჯილდოვებთ.

მისამართი: ქართული ბანკი—მ. კავსაძეს მომღერალთა გუნდი.

2—2088—1

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო“

1919 წ. წლიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

ქართველ მებრძოლთ

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოლალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დავუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.

მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

6—2079—5 ლეგიონის სარდალი ლეო კერესელიძე.

ქართული კლუბი 9 თებერვალი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო მიტინგი

მოხსენებას წაიკითხავენ:

გერონტი ქიქოძე,
გ. გვაზავა,
შ. ამირაჯიბი,
პართენ გოთუა,
ტიტე მარგველაშვილი,

3—2

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

შაბათს, 8 თებერვალს, დ. არაყიშვილის 15 წლის ხამუსიკო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება:

თქმულება შოთა რუსთაველზე

მონაწილეობენ: შულგინა, სპიტკო, ბგასოვისა, სარაჯიშვილი, პოლიაევი და ინაშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კვირას, 9 თებერვალს, დილით—„რუსლან და ლიუდმილა“, საღამოთი—პოლიაევის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება „მეფის სარძლო“, სამშაბათს, 11 თებერვალს მ. ალეშკოს ბენეფისი „ტოსკა“.

ქართულ კლუბის თეატრი

ქართულ დრამატიულ სტუდიის მიერ

შაბათს, თებერვლის 8-ს, 1919 წელს წარმოდგენილ იქნება პირველად ქართულ სცენაზედ

ვიშა ფოთლები...

პიესა 4 მოქმედებად ჯაკოსისა, თარგმანი გ. ჯაბადრისა.

დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე.

100 მეორე ზარის შემდეგ დარბაზში აღარავინ შეიშვება. 2—2

კვირას თებერვლის 9-ს საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტის ბინაზე—გოლოვინის პრ. № 24 დანიშნულია კომიტეტის წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველია: 1) მეომართა დამხმარე კომიტეტის მოღვაწეობის მოკლე ანგარიში. 2) ომში დაღუპულ და დასახიჩრებულ მეომართა ოჯახების დამხმარე საზ. წესდების პროექტი. 3) მიმდინარე საკითხები.

(2—113—1)

განცხადება

ქ. თბილისის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელების კომიტეტი ამით აცხადებს, რომ 6 თებერვლიდან დაიწყება საქართველოს საქართველოს სახელმწიფო ხაზინის 6% მოკლე ვადიან ვალდებულებათა გაყიდვა თბილისის შემდეგ დაწესებულებებში:

1) თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში;
2) კავკასიის ბანკში;
3) თბილისის ვაჭრებთა ბანკში;
4) ამიერ-კავკასიის ბანკში;
5) აზოვ-დონის კომერციულ ბანკში;
6) პეტროგრადის საერთაშორისო კომერციულ ბანკის განყოფილება;
7) თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში;
8) თბილისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საურთიერთო კრედიტში;
9) თბილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში;
10) „ა. ლ. ფრიდონოვის და კ-ნია ბანკირთა კანტორაში;
11) მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება;
12) თბილისის რუსთა საზოგადოების საურთიერთო კრედიტში;
13) კავკასიის საზოგადოების საურთიერთო კრედიტში.

შეძენა ვალდებულებათა შეიძლება მხოლოდ ფულზე ფინანსთა მინისტრის მიერ გამოქვეყნებულ პირობებში.

1—112—1

## ფედერალისტების მაქსიმალიზმი

დამფუძნებელ კრების მოლოდინში ს. ფედერალისტებმა დაუწყეს თავიანთ მუშაობას გადასინჯვა. ამის მიზეზია აგრეთვე პარტიის გაყოფა და საქალაქო არჩევნებში „მაშვრალების“ გამარჯვება, რასაც ალბად ფედერალისტები არ მოელოდნენ. ზევრჯერ შეგვინიშნავს, რომ ს. ფედერალისტების იდეოლოგია ძალიან მჭლეა, შეიძლება ითქვას კიდეც, რომ იდეოლოგია სრულებითაც არ არსებობს... მაშინ, როცა ავტონომიის საკითხი იყო დასმული ქართულ პრესაში—ფედერალისტები ჰქმნიდენ იდეოლოგიის ილიუზიას, მაგრამ ბოლო დროს ავტონომიის საკითხი, ისე დაავიწროვა ლეს, რომ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სოციალ-დემოკრატები უფრო იჩენდენ ეროვნულ სიმტკიცეს, ვინემ სოციალისტ-ფედერალისტები.

ფედერალისტებმა იოლი ხელით მიიღეს რეალური მოსახლეობა და ამით ხელი მოაწერეს თავიანთ სიკვდილის განაჩენს და ამის შემდეგ ქართულ პოლიტიკის ანგარიშიდან ამოიღიცხეს თავი.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ფედერალისტების როლი სამარცხვინო იყო პარტიისთვის, ფედერალისტებმა ხელი მიყვეს უშადურ საქმეს ს. დემოკრატების მაჩანჩალობას, და მათი ორატორები ქლაკიორებივით ტაშს უკრავდენ ს. დემოკრატების ყოველ გამოსვლას.

ს. დემოკრატების ოპოზიცია ერთიანათ თავზე დააწვა ეროვნულ-დემოკრატებს და საპარლამენტო ბრძოლაში ყველაზე უფრო გამწარებით ფედერალისტები ეწეოდენ ჩვენ საწინააღმდეგო კამპანიას.

როცა ქართული პოლიტიკა შედარებით ნორმალურ პირობებში ჩადგა, აშკარა გახდა, რომ ეროვნულ დემოკრატების პროგრამა იქნება გამარჯვებული. ყოველი დღე 26 მაისიდან, როცა იწყება ეროვნულ სახელმწიფოებრივ შენება, სოციალისტებს ატოვებინებს თავიანთ პოზიციებს და ეროვნულ დემოკრატების პლატფორმაზე აყენებს.

ქართული მენშევიკებს არ უნდათ იწამონ ეს, როცა ამას ჩვენ ვამბობთ და ან არშაკ ზურაბოვი ლაპარაკობს, მაგრამ ამასვე სწერენ მათი მოკავშირე ფედერალისტები.

წერილში „ახალი საკითხი“ „სახალხო საქმე“ შემდეგს ამბობს:

„ამ ჟამათ არავითარი არსებითი განსხვავება არ არის ეროვნულ დემოკრატების პროგრამისა და სოციალდემოკრატების პრაქტიკის შორის და სწორეთ ეს გარემოებაა ის მიზეზი, რომელიც ჩვენ გვაშორებს სოციალდემოკრატიას, რომელიც ჩვენ გვაიძულებს ხელი გაუშვიროთ საქართველოს მუშა ხალხს და უთხრათ: შენ ასწდექი სოციალიზმის დროშით, მაგრამ სოციალიზმის დროშითვე შენი განვითარება სოციალ-დემოკრატიას აღარ შეუძლიან“...

ჩვენ ერთხელ კიდევ ავღნიშნავთ ამ აზრის სიმართლეს. უსათუოდ მართალია, რომ სოციალ-დემოკრატები შეგნებულათ ადგებიან ეროვნულ-დემოკრატების პოლიტიკას, მაგრამ საკითხავია, როგორ პოლიტიკას აწარმოებენ სოციალისტ-ფედერალისტები და ან რის იმედით უნდათ, თუ ს.-დემოკრატებს დაშორდენ, შემდეგში იარსებონ.

თუ ისეთი მძლავრი პარტია, როგორც მენშევიკების პარტიაა, საქართველოს სინამდვილის ლოღიკამ ისე მოხარა, რომ თავისი სახე დაუკარგა, რა უნდა დაემართოს ფედერალისტებს რომელთაც არასდროს საკუთარი სახე არ ჰქონიათ, არც ისე ძლიერი ორგანიზაცია, რომ რაიმე სახელმწიფოებრივი საქმე გააკეთონ.

მართალია დღეს მათ ხელში ჩაუვარდათ, უსამართლო კოალიციის წყალობით ფულები და ჩაიბარეს ორი სამინისტრო; თავიანთი მოწყობილი ადმინისტრაციით, რომელიც საკმაო საშუალებას იძლევა კლიენტელას შექმნისთვის, მაგრამ რა აქვს საერთო ამას პარტიის პროგრამასთან?

ჩვენ არ ვიცით უფრო მეტი გაუგებრობა, როგორც ფედერალისტების მაქსიმალიზმი, როცა ისინი ეთიშებიან სოციალ-დემოკრატებს და დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდათ აწარმოონ. უფრო მეტი გაუგებრობაა, როცა ფედერალისტები მუშებისკენ იშვერენ ხელს და მოუწოდებენ მაქსიმალიზმისკენ.

არც ისე შორს არის ის დრო, როცა მენშევიკები ფედერალისტებს სოციალისტებათ არ სთვლიდნენ და ჯვაროსნულ ომს უცხადებდენ; მართლა ბევრი უნდა დაეკარგათ სოციალდემოკრატებს, რომ ეხლა ფედერალისტები აღიარონ სოციალისტები არ ხართო, მაგრამ ამით ფედერალისტებს მაინც რა უნდა მოემატოს?..

ყველაფერს თავისი შინაგანი ლოღიკა აქვს: მენშევიკები სახელმწიფოებრივმა აშენებლობამ ჩაითრიეს და ძალა-უნებურათ აკეთებენ იმ საქმეს, რომელსაც უწინ ებრძოდენ და თავის ფანტაზიაში დღესაც ებრძვიან; მაგრამ სხვა ნაირათ არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო.

ქართველი ხალხის უმრავლესობა, რომელსაც ეყრდნობიან მენშევიკები ძალიან დაშორებულია კომუნისტურ შეგნებას. პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკი საქართველოში სასაცილო იქნებოდა და ამიტომ მიიღო ქართულმა ბოლშევიზმმა სამარცხვინო ხასიათი და სოციალისტურ რევოლიუციით ანთებულ მუშების მაგიერ ბანძიდან და ცხინვალიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

**მოხალისეთა ჯარი სოჭის ოლქში შემოიჭრა და ხოსტში დესანტი გადმოასხა. ქართველი ჯარი სოჭაში მტრის მიერ ალყა შემორტყმულია.**

**5 თებერვალს ახალციხისკენ ჩვენმა ჯარმა გაწმინდა შემდეგი სოფლები: ჩხარი, ჭირკა, მაჭელწმინდა, ფარცხა, ჩიხელი და სხ.**

**გერმანიის ცენტრალ მთავრობამ გერსტენბერგის დივიზიის ბრემენში შესვლა უბრძანა, რადგან ბრემენის მთავრობამ ეს დადგენილება იუარა; ჰამბურგის 7000 მუშა გაფიცვით განაცხადა გერსტენბერგის დივიზიასთან შებრძოლება.**

**4 თებერვალს გერსტენბერგის დივიზიამ ბრემენს ალყა შემოარტყა, სპარტაკელებმა ვეზერის მარცხენა ნაპირზე დაიხიეს.**

დაეცნენ ყაჩაღები; ამ ბრბოებს ღირსეული მეთაურებიც ჰყავდათ, რომელნიც საკმაოთ არცხვენდენ კომუნისტების სახელს.

ქართული მენშევიზმი დღევანდელი საქართველოს სახეა, მეტი შეგნება მასას დაავიწყებს მარქსის დოქტრინებს და მენშევიკები იძულებული იქნებიან სოციალისტურ ფრაზეოლოგიით აკეთონ ისეთი საქმე, რომელსაც თვითონ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენებას უძახიან.

თუ სოციალდემოკრატიული მაქსიმალიზმი—ბანძელ ყაჩაღებში გამოიხატა, ფედერალისტური მაქსიმალიზმი—უფრო კომიკურ ხასიათს იღებს—„მაშვრალთა“ პარტიის იდეოლოგიის სახით.

რაიმე გამოსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია:—ეს მხოლოდ „შუქურ ვარსკვლავების“ მიერ შექმნილი იდეოლოგიური კომიზმია, რომელიც „ალიზიანებს „სახალხო საქმის“!.. დარბაისელ და ზომიერ პუბლიცისტებს.

ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ ფედერალისტების წარსული მათი წინაპრების მიერ ისეთი ტრაგიკული ელფერით არის განათებული, რომ ასეთი კომიკური ფინალი, როგორც დღეს ემართებათ ფედერალისტების მაქსიმალისტებს, მხოლოდ გულწრფელ მწუხარებას იწვევს, ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა უფრო მშვიდათ სიკვდილი, რომ მაქსიმალისტური ქია-კოლონი არ ყოფილიყო საჭირო.

## საარჩევნო კამპანია

IV

[illegible]

ს ი და სხვა და სხვა) და ამავე დროს დაცულია ინტერესი წარმოებისა. ყველგან გათვალისწინებულია ის უბრალო დებულება, რომ შეთანხმება შრომისა და კაპიტალისა ჰქმნის ეროვნულ სიმდიდრეს და ეს ეროვნული სიმდიდრე კი ერთად ერთი სახსარია და ერთად ერთი ღონისძიება, რომ გაუმჯობესდეს თვით მუშა კლასის ცხოვრება და მისი შრომის პირობანი. ამიტომ ზოგან არსებობს კიდეც სავალდებულო არბიტრაჟიც ე. ი. განსაკუთრებული მოსამართლე, რომელიც სწყვეტს ხოლმე ყოველ დავას, ატეხილს მუშათა და მწარმოებელთა შორის, ამ რომლის გადაწყვეტილება სავალდებულოა ორივე მხრისათვის. სავალდებულოა—ეს ჰნიშნავს იმას რომ, იგი სისრულეში მოჰყავს თვით სახელმწიფოს. ახალ-ზელანდიაში, მაგალითად მუშების გაფიცვას ადგილი უკვე აღარ აქვს, წარმოება არა ჰსწყდება, ეროვნული სიმდიდრე და დოვლათი უფრო და უფრო გროვდება და ამასთან ერთად მთელი ქვეყნის კეთილდღეობა მატულობს.

ჩვენმა სოციალისტებმა, რომელნიც მთავრობას უდგანან სათავეში, ჯერ ვერ გამოსცეს ვერც ერთი კანონი, მიმართული შრომის დასაცველად. მართალია, გამოიცა რამოდენიმე დეკრეტი და ცირკულიარი, მაგრამ ეს რევოლიუციონურ ხანას ეკუთვნის, როცა ჩვენს ქვეყანას განაგებდა ნუტარ ხსენებული კომისარიატი. ამისთანა აქტებს კი უნდა გადათვალიერება და გასწორება. თუ რა სიკეთე დაგვაყარა [illegible]

ათასობით იხოცებიან ჩვენი მამულიშვილები!

ასეთია შრომის დაცვა და ეკონომიური აღმშენებლობა ჩვენი სოციალ-დემოკრატებისა.

გიორგი გვაზავა.

**მოქალაქენო! ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს მუშა ხალხს გალატაკებისაგან და ჰსცდილობს გააძლიეროს ეროვნული სიმდიდრე.**

მიეცით ხმა ს ას № 2.

## პრესსა

„გახვეულების“ პარტია.

„და ჩვენ ვეცდებით, რომ საქართველოს დამფუძნებელ ყრილობაზე კვლავ გაისმოდეს გაბედული, მრისხანე და სიმართლის მდაღადებელი ეროვნული პარტიის წარმომადგენლობის ხმები“.

ასე სწერს „სალი კლდე“.

„მრისხანე და სიმართლის მდაღადებელი ხმას“ ალბათ ბატონ ვეშაპელის „რეზინის ღეჭვას“ და ბატონ გაბაშვილის „ლაზლანდარობას“ თუ ეძახის „სალი კლდე“.

რაშია საქმე? რამ გამოიწვია ამ „მრისხანებაზე“ ლაპარაკი?

„სალი კლდე“ ცუდ გუნებაზეა. ყველამ იცის როგორ გვემუქრებოდენ „სალი კლდის“ ჯიხვები და არჩვები. დაგვაცადეთ, ჯერ არჩევნების დღე მოვიდეს და გამოჩნდება ვის მისდევს პარტია, „საქართველოს“ თუ „სალკლდესო“.

არჩევნებმა უკვე ჩაიარეს და ბატონ ვეშაპელებს ჩაილურის წყალი დაალევინეს. მთელ თბილისში მათ მხოლოდ ერთი ხმოსნის ხმა მოაგროვეს. პარტიის დიდი უმრავლესობა კი ისევ პარტიაში დარჩა და მათ ზურგი უბრუნა. და ეხლა რომ თავისი დამარცხება გაამართლონ „ბრძოლის ცეცხლზე და ალში გახვეულ მებრძოლებზე“ სწერენ.

ვინ არიან ეს „მებრძოლები“.

რასაკვირველია ბ. ვეშაპელი და მისი კომპანია.

თუ ამ „მებრძოლებმა“ არჩევნებში მთელი ეროვნული დემოკრატია თან არ გაიყოლიეს და კლდეზე არ გადაჩეხეს, ეს თურმე იმით აიხსნება, რომ ბ. ვეშაპელები რაღაცას უცდიდენ, კონფერენციებზე და შეერთებაზე ფიქრობდენ.

ეს მართალია. როცა „სალი კლდე“ დარწმუნდა, რომ პარტიიდან მათ არავინ გაჰყვა, მათ შერიგებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

მაგრამ ჩვენი პასუხი ამის შესახებ მათ იცოდენ და არც თუ იმდენი უნდა ეცადნათ.

განა პირველი ჩვენ არ ვიყავით რომ ვამბობდით: „კლდის“ ზოოლოგიას ეროვნულ-დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს და მათ თავისი გზა უნდა ეძებონ-თქო.

ეხლა კი, ლაპარაკი იმაზე, რომ ვიღაცა თურმე რაღაცაში იყო გახვეული, საბუთი არ არის.

პარტია, რომელსაც მთელ საქართველოში მხოლოდ ორი ხმოსანი ჰყავს ალბათ „გახვეული“ ყოფილა. ჩვენ ამაზედ არ ვდავობთ.

მაგრამ „სალი კლდის“ ბატონებმა უნდა იცოდენ რომ ისინი გახვეულნი იყვნენ არა „ბრძოლის ცეცხლში“, როგორც თითონ სწერენ, არამედ იმ უნდობლობაში, რომელიც გამოუცხადა მათ ქართველმა ხალხმა საქალაქო არჩევნების დროს.

## საომარი მოქმედების დაწყება სოჭის ოლქში

გენერალი კონიაშვილი და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი სოჭის ოლქში, მიხრან ხოჰოლავა 6 თებერვლის თარიღით პირდაპირი მავთულით შემდეგს იტყობინებიან:

**ხოჰოლავა:** „როდესაც მე ვიტყობინებოდი სომხებთან შეტაკების შესახებ, მე აღვნიშნე რომ, სომხებსა და ქართველებს შორის მომხდარ უთანხმოებაში, მუშაობს ვიღაცის უცხო ხელი, რომელიც სთესავს პროვოკაციას. ამ პროვოკაციამ უკვე გამოიღო ნაყოფი... ჩვენ ვსდგევართ მომხდარი ფაქტის წინაშე: დღეს დილით 4 საათზე ყოველის მხრიდგან თავს დაგვესხენ „მოხალისენი“ და „ბანდები“. ჯერ დაიკავეს სადგური ლაო, გაანადგურეს იქ, ჩვენი სადარაჯო რაზმი ხოლო ნაწილი ტყვედ წაიყვანეს. ბ ჩქარის სიარულით მოვიდნენ ინსტიტუტამდე; ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. შუადღის შემდეგ, სოჭის ზურგით, გამოჩნდენ „მოხალისენი“, სომხების შეიარაღებული „ბანდები“, რომელთაც როგორც ეტყობათ, ღამით შორიდგან მოუწყვიათ შემოვლა.

ჩემს მიერ გამოწვეული გენერალი კონიაშვილი და პოლკოვნიკი წერეთელი, სოჭაში შემოსვლისთანავე ძლიერს ცეცხლში მოხვდნენ. ჩვენმა არტილლერიამ, რომელმაც არ იცოდა, თუ რა ბედი ეწვია კონიაშვილს, სროლა აუტეხა მოხალისეთ, რომელთაც ქალაქის მაღლობები დაეკავებიათ.

ქალაქში თოფების სროლა გაჩაღდა; ჩვენი არტილლერიაც განაგრძობდა სროლას; ჩვენის მხრით სროლა შეჩერდა, როგორც კი თეთრი ბაირაღი დავინახეთ; „მოხალისეთაგან“ თეთრი ბაირაღით მოვიდა დელეგაცია, რომელიც მე მივიღე. დელეგატებმა დაგვიწყეს ლაპარაკი კონფლიქტის მშვიდობიან დამთავრების შესახებ და სროლის შეწყვეტა მოითხოვეს. მე დავთანხმდი მხოლოდ იმ პირობით, თუ გენერალი კონიაშვილი და პოლკოვნიკი წერეთელი და პეტრიევი დაუყონებლივ იქნებოდენ განთავისუფლებულნი, რადგანაც მე ვამბობდი, რომ ასეთი დიდათ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, ჯარების მთავარსარდალს უნდა მოველაპარაკო თქო. ჩემი მოთხოვნილება შესრულებულ იქმნა სასწრაფო თათბირისა და ბრძოლის დროებითი შესრულების შემდეგ.

გენერალი კონიაშვილი თვით წავიდა მოსალაპარაკებლად „მოხალისეთა“ ჯარების ხელმძღვანელთან გენერალ ბურნევიჩთან; ამასობაში „მოხალისეთა“ ჯარს დაგომისის მხრით უკვე მოუღწევია სოჭამდის.

თანახმად წინასწარი შეთანხმებისა, გენერალმა კონიაშვილმა შემდეგი კითხვები მისცა მოხალისეთა ჯარების სარდალს გენერალ ბურნევიჩს:

1) გამოცხადებული არის თუ არა ომი „მოხალისეთა ჯარის“ მიერ, საქართველოს წინააღმდეგ? 2) თანახმა არის თუ არა მოწინააღმდეგე მხარე, შეაჩეროს საომო მოქმედება და შეჩერდეს იმ ხაზზედ, რომელიც მას უკანასკნელ წამში უკავია? 3) ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება გამოვიწვიოთ პირდაპირი მავთულით ჩვენი მთავრობა და მოვახსენოთ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ამის საპასუხოდ, გენერალ კონიაშვილს წარუდგინეს შემდეგი ულტიმატუმი: „გენერალ კონიაშვილს: მე მივიღე ბრძანება ჩემი მთავრობის მიერ დავიკავო სოჭის ოლქი იმ ცარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობის გამო, რომელიც ხსენებულ ოლქში ხდება. ამიტომ, თქვენო აღმატებულებავ, სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, წინადადებას გაძლევთ დაჰყაროთ იარაღი და ჩაგვაბაროთ მთელი სამხედრო მასალა. ყველა ქართველი მეომარი და ადმინისტრაციის მოსამსახურენი, იარაღის ჩაბარების შემდეგ განთავისუფლებულნი იქნებიან და შეუძლიანთ წავიდნენ საქართველოში.

იარაღის ჩაბარება უნდა მოხდეს 24 იანვარს ღამის 12 საათამდის № 157.

ტუაპსის რაზმის უფროსი გენერალ-მაიორი ბურნევიჩი.

რაზმის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ეფრემოვი.

გადმოცემულია 17 საათზედ 24 იანვარს 1919 წ.

პოლკ ეფრემოვი.

P. S. თუ იარაღი დროზე არ იქნა ჩაბარებული ჯარებს სოჭისკენ დავძრავ.

გენ.-მაიორი ბრუნევიჩი.

გენერალმა კონიაშვილმა ამ ულტიმატუმზედ პოზიციებზედვე პასუხი არ გასცა. იგი მოვიდა ჩემთან ამ ულტიმატუმით და თან მოიყვანა ორი პოლკოვნიკი: ზოტოვი და ეფრემოვი.

მე ვერ დავეთანხმე მიმეღო რაიმე გარდაწყვეტილება, ვიდრე ჩემ მთავრობას არ მოველაპარაკებოდი. ჩემს მოთხოვნილებას ვასაბუთებდი მით, რომ მე და გენ. კონიაშვილს შეგვიძლია პასუხი ვაგოთ მხოლოდ ჩვენდამი დაქვემდებარებული პირების შესახებ, ხოლო მცხოვრებთა მოქმედების შესახებ, პასუხს ვერ ვაგებდით; ჩემთან კი, ნახევარი საათით ადრე ულტიმატუმის მიღებამდე, მოვიდა დელეგაცია საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგან და წინადადება მომცა იარაღით გავსულიყავით მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ; ამასთანავე განაცხადეს, რომ ცოცხალი მათ არ დანებდებოდნენ. დემოკრატიის ერთსულოვანი შეიარაღება მე დილიდანვე ვიცოდი, ამიტომ მოვითხოვე „მოხალისეთა ჯარის“ გენერალს, მოეცა საშუალება მიმეღო დირექტივები ჩემი რესპუბლიკის მთავრობისაგან. ველი თქვენგან გარკვეულ დირექტივებს. ხალხი უნდა დავამშვიდოთ“.

**გენერალი კონიაშვილი:** სოჭაში, დიდ ცეცხლის ქვეშ, შემორტყმული დავრჩით: ზურგში, „მოხალისეთ“ გადაგვიჭრეს გზა ღრმა შემოვლებული კოლონებით და დაიკავეს ხელმძღვანელი სიმაღლენი. მდგომარეობა მძიმეა. ფრონტზედ მრავალი დაჭრილი და დახოცილია.

ხოსტში, „მოხალისეთ“ ზურგში გადმოგვისხეს დესანტი. ზღვაში ნალმოსანი სდგას და ნიშანს ელის. ველი თქვენს კატეგორიულ ბრძანებას.

გენერალი კონიაშვილი.

---

ამ ცნობის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ სათანადო დირექტივები გაუგზავნა. პირდაპირი მავთული ლაპარაკი სოჭასთან გრძელდება თებერვლის 7-ს საღამომდე, შემდეგ კავშირი გასწყდა.

ამ ცნობის მიღებისათანავე, გარეშე საქმეთა მინისტრმა ეს ამბავი შეატყობინა ინგლისის მისიას.

მისიამ მაშინ გაუგზავნა დეპეშა მოხალისეთა ჯარის გენერალს და მოსთხოვა საომარი მოქმედების დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

---

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტას ინგლისის მისიისადმი, მათ პასუხს და დამატებით ცნობებს ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში მოვათავსებთ.

## ბ-ნ მასლოვის „საზოგადოებრივ-პოლიტიკური“ ფიზიონომია

გაზ. „ბორბა“-ში (№ 286) დასტამბულია საინტერესო წერილი ბ-ნ მასლოვის შესახებ, წერილი ეხება ამ ვაჟბატონის მორალურ ფიზიონომიას, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწისას და ნათელს ჰყენებს მის „რუსულ პატრიოტიზმს“ და მისი „მოკავშირეთა ინტერესებისადმი თავდადებას“.

„ეს იყო ბათუმის სევდიან დღეებში... ქალაქი დაცარიელდა. ქუჩებზე არავინ იყო. მხოლოდ შეშინებულ მცხოვრებლებმა ოსმალოს ბაირაღები გამოჰკიდეს სახლიდან. პირველ აპრილის დილიდან ქალაქი ყოველნაირ ალმებით მორთო. რუსულ-ეროვნულით, უკრაინულით, გერმანულით, ჩაჩნურით და სხ. დღის ოთხ საათზე ქალაქში პირველი ოსმალური რაზმი შევიდა.

მეორე დღეს დაიწყო დაპატიმრებანი და სამხედრო პირთა რეგისტრაცია. სხვათა შორის აპატიმრებდნენ რუს აფიცრებსაც. ამ დროს ბ-ნ მასლოვმა მიჰმართა ქალაქ ბათუმის კომენდანტს დაახლოვებით შემდეგ სიტყვებით:

„ჩვენ, რუსებმა არავითარი წინააღმდეგობა არ გაგიწიეთ როცა იპყრობდით ბათუმს, თქვენს ძველს და უფლებიან მინიჭებულ ქალაქს ამ ორმოცი წლის წინედ იძულებით თქვენგან წართმეულს.

თუ ბათუმის დამცველთა შორის რუსებიც იყვნენ, ეს მოხდა ქართველთა ძალმომრეობით. ჩვენ მოგეცით ბათუმი ბრესტის ხელშეკრულობით და იმ დღიდან ჩვენ თქვენი გულითადი მეგობრები და მოკავშირენი ვართ; გვებებით როგორც ძვირფას ჩვენ მოკავშირეთ და სულ უბრალოდ იჭერთ რუს აფიცრებს, რომელნიც თქვენი ერთგულნი არიან“.

როგორც ცნობილია ბ-ნი მასლოვი განწესებულია ბათუმის ოლქში ინგლისურ სარდლობის მიერ.

ჩვენ გვაეჭვება შესძლებს თუ არა ბათუმის ოლქში დიდბრიტანიის პრესტიჟის განმტკიცებას ის ვაჟბატონი, რომელიც გუშინ ოსმალთა ფაშების წინ ცოცავდა და რომელიც მზად არის ყოველ დამპყრობლის წინ გაინართხოს.

## ქრონიკა

**თბილისის პოლიტეხნიკუმი.** მთავრობის დადგენილებით თბ. პოლიტეხნიკუმს არავითარი სუბსიდია არ მიეცემა.

**ეროვნულ-დემოკრატების მიტინგი.** კვირას, 9 თებერვალს, შუადღის თორმეტ საათზე ქართულ კლუბში შესდგება დიდი პოლიტიკური მიტინგი, სადაც ილაპარაკებენ გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი გერონტი ქიქოძე და ერ.-დ. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრები: გიორგი გვაზავა, შალვა ამირაჯიბი, ტიტე მარგველაშვილი, პართენ გოთუა და სხვები.

**სურსათი სომხეთისათვის.** ამერიკის მისიამ, რომელიც სტამბოლში იმყოფება, სომხეთისთვის 100.000 ფ. ხორბალი, 15.000 ფ. ბრინჯი და 3000 ფუთი შაქარი შეიძინა. ეს სურსათი ერევანში მალე გაიგზავნება.

**ინტიმიური საღამო** შაბათს 9 თებერვალს სასადილო „იმედ-“ში (ძველი სემინარიის შენობა) გაიმართება მორიგი ინტიმიური საღამო მონაწილეობენ ტფილისის საუკეთესო არტისტიული და მუსიკალური ძალები. ლექსებს იტყვიან ქართველი და რუსი პოეტები. კაბარე დაიწყება საღამოს 9 საათზე და გასტანს ღამის 3 საათამდე.

**ქურდობა** 7 თებერვალს ღამით, უცნობ ბოროტ-გამზრახველებმა მომხმარებელ დუქნიდან № 2 მიხაილოვის პროს. № 59 მოიპარეს სხვა და სხვა საქონელი 20,000 მან. ღირებულობისა.

**გაძარცვა** 6 თებერვალს ნინა ოჰანეზოვის ბინაზე გრიბოედოვის ქ. № 7 შეიჭრნენ შეიარაღებული უცნობნი და ძალით წაიღეს ფული და ძვირფასი ნივთებიც 7600 მანეთის ღირებულობისა.

**საღამო „იმედში“.** დღეს 8 თებერვალს სასადილო „იმედში“ (ძველი სემინარიის შენობა) გაიმართება მორიგი ინტიმიური საღამო, რომელშიაც მონაწილეობენ ბევრი თბილისში ცნობილი არტისტიული და მუსიკალური ძალები. საღამოზე ლექსებს წაიკითხავენ ქართველი და რუსი პოეტები. კაბარე დაიწყება საღამოს 9 საათზე და გაგრძელდება ღამის 3 საათამდე.

**სალიკვიდაციო ხარჯებისათვის.** ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ ლტოლვილთა კომიტეტს მიეცეს თავის საქმეების სალიკვიდაციოთ 370,000 მან.

**საპატიმროთა რევიზია.** იუსტიციის მინისტრის წინადადებით მოეწყო კომისია თბილისის № 1 და № 2 საპატიმროს და ავჭალის ახალშენის მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიის სარევიზიოთ. ყველა იმ პირთ, რომელთაც საჩივარი აქვთ ან რაიმე ცნობა ბოროტმოქმედების შესახებ, შეუძლიათ მიმართონ, როგორც წერილობით, აგრეთვე ზეპირად დასახელებულ კომისიას, რომელიც მოთავსებულია ყოფილ მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში, საპყრობილეებში კი, სარევიზიო კომისიის მორიგ წევრებს ვ. ნეკრპოიჩეცკის და მ. ლ. რელკეს № 1 საპყრობილეში სამშაბათობით 12—1 საათამდე, № 2 საპყრობილეში ხუთშაბათობით 12—1 საათამდე.

**შაბიამანი საქართველოსთვის.** თელავის მაზრის ერობის გამგეობამ ერთ გარეშე ფირმასთან ხელშეკრულება შეუკრავს 300,000 ფუთი შაბიამანის და 200,000 ფუთი გოგირდის საზღვარ-გარეთიდან თელავში მოტანის შესახებ.

— კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბიურომ მიმართა ინგლისის ფირმის წარმომადგენელს—შეატყობინოს სტატისტიკური ცნობები: რამდენი ფუთი შაბიამანი უნდა საქართველოს ვენახებს ყოველ წლიურ შესაწამლად. ეს ცნობები საჭიროა ამ ფირმისთვის, რომელსაც განუზრახავს ბათომში შაბიამანის ქარხანა დაარსოს.

## სამხატვრო ქრონიკა

**დ. კასრაძემ** დასწერა პიესა „პიმენეს ჯაჭვები“ ოთხ მოქმედებად. თანამედროვე ცხოვრებიდან. პიესა წაიკითხება ინტიმიურ წრეში და შემდეგ დასადგმელად გადაეცემა დრამ. საზოგადოებას.

„თქმულება შოთა რუსთაველზე“. დღეს სახელმწიფო თეატრში იმეორებენ ქართულ ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

**ბ. დავით კასრაძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ მოთავსებული მის მიერ „სპარტაკი“ თარგმანი კი არ არის, როგორც გვქონდა გამოცხადებული გაზ. „საქართველოს“ № 27, ქრონიკო ცნობებში, არამედ ორიგინალური დღევანდელ დროისთვის საგანგებოდ დაწერილი.

## ქალაქის მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა

ქალაქის გამგეობის ბუხჰალტერიას შეუდგენია ამ 1919 წ. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის გეგმა, რომლიდანაც სჩანს, რომ საქალაქო მოსამსახურეთა მეშვიდე ზედ დამატებითი ჯამაგირის მიღების შემდეგ, მარტო მოსამსახურეთა ჯამაგირების მისაცემად ქალაქის გამგეობას დასჭირდება [illegible] მილიონ მანეთამდე და რამდენი ხარჯი დასჭირდება ქალაქის გამგეობას ჯამაგირების დარიგების გარდა, ჯერ არ არის ნაანგარიშევი. შემოსავალი კი ამ 1919 წლის დამლევამდე ქალაქის გამგეობას ექნება არა [illegible] 14—15 მილიონამდე. [illegible] რომ მხედველობაში ვიქონიოთ მარტო ჯამაგირების დარიგება იმ [illegible]

ხევამშიაც ქალაქის კასას 10—11 მილიონამდე დეფიციტი მოელის. ამას, რასაკვირველია უნდა მიემატოს სკოლების, საავადმყოფოების შენახვა და სხვა მრავალი სამეურნეო ხარჯი, რაც 10 15 მილიონამდე შესდგება.

## სამაჰმადიანო საქართველო.

ქართველო მაჰმადიანებო! ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭომ, რომლის დიდი უმრავლესობა შესდგება ახალციხის მაზრის მაჰმადიანთა მშრომელ ხალხის წარმომადგენელებისაგან, გადასწყვიტა გამოსცეს გაზეთი „განახლებული მესხეთი“, რომელიც მიზნათ ისახავს დაიცვას როგორც ახალციხის მაზრის მშრომელი ხალხის ინტერესები, აგრეთვე მთელი სამაჰმადიანო საქართველოს მშრომელი ხალხი. ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ ეს გაზეთი სავსებით დაიცავს ჩვენი მშრომელი ხალხის ინტერესებს; ის გადალახავს ყოველივე დაბრკოლებებს, არ შედრკება არავითარ უსამართლობის წინაშე და მედგრათ, გაბედულათ იბრძოლებს ჩვენი მშრომელი ხალხის საბედნიეროთ და საკეთილდღეოდ.

დარწმუნებული ვართ მას თან-დათან გვერდში ამოუდგება ქართველ-მაჰმადიანთა მშრომელი ხალხი და გაუმაგრებს მას ზურგს.

ქართველ-მაჰმადიანთა მშრომელნო, თქვენ კარგათ იცით, რომ სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო ეს ერთი სხეულია, ერთი ოჯახია და ამიტომ ეს ორი ღვიძლი კუთხე ჭირშიც და ლხინშიც ერთი უნდა იყოს, მაგრამ თქვენ ისიც კარგათ იცით, რომ ეს ჯერ-ჯერობით ასე არ არის, რადგანაც კარგა ხანია ზოგიერთები ათას გვარ პროვოკაციულ გზებით ცდილობენ ჩვენს ხელოვნურათ დაყოფა-დაქუცმაცებას. თქვენ ისიც კარგათ იცით, რომ ეს ვაჟბატონები, ჩვენი დაქუცმაცების მომხრეები ძალიან კარგათ შეურიგდებიან ოსმალეთს, რუსეთს, ადერბეიჯანს და სხვებს, ოღონდ კი ჩვენი კუთხე, სამაჰმადიანო საქართველო იდგეს შორს საქრისტიანო საქართველოსაგან. კითხვა იბადება თუ რისთვის იქცევიან ასე? მე მოკლეთ გეტყვით აი რად:

საქრისტიანო საქართველო არის უაღრესი დემოკრატიული კუთხე ჩვენი სამშობლოისა, სადაც თავადების და მექთა-ხორების ბატონობა კარგა ხანია მშრომელმა ხალხმა ძირს დასცა და ამ კუთხესთან ჩვენი შეერთება და მჭიდრო კავშირი კი იქნება მომასწავებელი ჩვენი მშრომელი ხალხის ფეხზე წამოდგომის, წელში გამაგრების და მით ჩვენი ბეგების და აღების ბატონობის დაცემის, ისე როგორც ეს არის საქრისტიანო საქართველოში. და სწორეთ ამას გაურბიან ჩვენი ბეგები და მუქთა-ხორები ამიტომ არის, რომ ისინი არავითარ პროვოკაციას და დემაგოგიას არ ერიდებიან ამ ორი ძმების გათიშვისათვის, რათა ამით შეინარჩუნონ ბატონობა და მუქთა-ხორობა ჩვენს კუთხეში.

მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ ჩვენი მშრომელი ხალხი თანდათან ერკვევა და იგნებს, თუ დღემდის რა სარგებლობა მოუტანეს ამ ბეგებმა და მუქთა-ხორებმა: მხოლოდ მოტყუება, ავანტურისტულ ნაბიჯებისაკენ მოწოდება, ჩვენი მშრომელი ხალხის ბრმა იარაღად გამოყენება და მით მის ზურგზე და კისერზე გასუქება, ჯიბეების გასქელება, ჩინორდენების მიღება, კარგი ჭამა-სმა, კარგი ქეიფი. და როდესაც ეს ერთი მუჭა ხალხი თქვენის ნაოფლით, თქვენის ტანჯვით სიცილ-ხარხარში ატარებს დროს, თქვენ კი, საწყალო მშრომელო ქართველო მაჰმადიანებო, ამ დროს ულუკმა-პუროთ შიმშილით გეხოცებათ ცოლ-შვილი, კვნესა ვაებით და ოხვრით ატარებთ დროს.

დადგა დრო, რომ ჩვენმა ქართველ მაჰმადიანთა შრომელმა ხალხმაც გამოიღვიძოს, შეიგნოს ეს ყოველივე, მისი ბედი მანვე აიღოს ხელში და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ-ხალხთან ძმობა-ერთობით, ხელიხელ ჩაკიდებული გასწიონ წინ ტანჯულთა და მაშვრალთა ბედნიერების და კეთილდღეობის მოსაპოებლად.

მაშ გაუმარჯოს ქართველ მაჰმადიანთა მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს მშრომელ ხალხის ძმობა-ერთობას!

გაუმარჯოს ამ გზისაკენ მებრძოლ „განახლებულ მესხეთს“!

ქ. ახალციხე, 1 თებერვალი 1919 წ.

**ჰაიდარ აბაშიძე.**

## პარტიული ცხოვრება

### ქ. გ ო რ ი

ხუთშაბათს, 6 თებერვალს, ქ. გორში, კლუბის დარბაზში ტიტე მარგველაშვილმა წაიკითხა მოხსენება: „დამფუძნებელი კრება“. მოხსენებას მრავალი ხალხი დაესწრო. რადგან დამსწრე საზოგადოებას დარბაზი ვერ „იტევდა, ნაწილი მსმენელებისა იძულებული იყო კარებსა და დერეფნებში გაჩერებულიყო. მოხსენებამ გასტანა საათი და ორმოცი წუთი. ლექტორს რამოდენიმეჯერ შეაწყვეტინეს მხურვალე ტაშით.

თუმცა ლექცია საჯარო იყო, მაგრამ მოკამათენი მოწინაღმდეგე პარტიებიდან არავინ გამოსულა.

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1. სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ დამფუძნებელი კრება სისწორით გამოხატავდეს ხალხის სრულ ნებისყოფას; ამისათვის კრება მოითხოვს რომ პარლამენტის მიერ მიღებული საარჩევნო კანონები ყოველგან და ყოველთვის დაცულ იქმნას ადგილობრივ მართველობათა მიერ.

2. სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ დამფუძნებელ კრებამ დაამყაროს ძლიერი და მტკიცე მთავრობა, სრულიად გამომხატველი ხალხის სულისკვეთებისა და ურყევი ნებისყოფისა, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობაში განსახიერდება ხალხის ყველა მიმდინარეობა და არა მაშინ როდესაც იგი განასახიერებს ერთ რომელიმე პარტიულ მიმდინარეობას.

3. კრებას კი თავის მხრივ მიაჩნია ყველა მოქალაქეთათვის სავალდებულოდ ყოველი საშუალებით ხელი შეუწყოს ეროვნულ-დემოკ.- პარტიის № 2-ის სრულს გამარჯვებს.

ზემოაღნიშნული რეზოლუცია ერთხმად იქმნა მიღებული დამსწრე საზოგადოების მიერ. მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს ტიტე მარგველაშვილს და გამოიტანეს დადგენილება ფხიზლათ მოექცნენ დამფუძნებელ კრების არჩევნებს.

ეროვნ.-დემოკრ. პარ. კომიტეტის თავმჯდომარე **ზ. ქიტიაშვილი**, ამხან. **ვ. გვერწითელი**, **ქ. ელიოზიშვილი**. წევრი **გრ. პაპიტაშვილი**.

## სომხეთის აღდგენა ქართლ-კახეთში.

სომხეთის აღდგენის საქმე ქართლ-კახეთში ახალი საქმე არ არი, იგი არც ოსმალეთის სომხების საკუთრებაა არც დაშნაკელებისა, რომელთა ხსენება საქართველოში 1905 წ. ჰაჰანებაც არ იყო.

ამ ბოროტ ნატვრის დასაწყისი სომხის ერში საქართველოში 1870 წ. იწყება.

ევროპიდამ ჩამოვიდა, სომხეთა პატრიოტი გრიქორ არწრუნი, 1872 წ. ქ. თბილისში სომხურ გაზ. „მშაკის“ გამოცემა დაიწყო და მალე ამ გაზეთის ფურცლების საშუალებით იმის ხმებიც გაისმა, თუ ქართლსა და კახეთში როგორ რა უნდა მომხდარიყოს, რომ ბოლოს აქ სომხეთი ამდგარიყოს.

გაზ. „მშაკმა“ მძლავრ კილოთი მორთო ქადაგება ამ საქმის პროპაგანდაში გრიქორ არწრუნს კარგათ ეხმარებოდა „პეპოს“ დამწერი გაბრიელ სუნდუკიანცი, რაფიელ ამერიკიანი, ჩიმიშკიანი და სხვანი „მშაკის“ ქადაგების თანამგრძნობელნი, თუმცა „მშაკის“ წინააღმდეგნიც იყვნენ სომხებში, როგორც ამგერ იოანესიანი და „მეღე ჰაისტანის“ რედაქტორი პეტროს სიმონიანცი, რომელნიც სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ გრიქორ არწრუნის, მაგრამ რაც შეეხება ამ კითხვებში კი, იგი სრული თანახმანი იყვნენ და ყველაფერს ადასტურებდნენ. ისინი ერთმანერთის წინააღმდეგნი იყვნენ აი რაში:

გრიქორ არწრუნი ყველა სომხის ერს სომხად სთვლიდა, იმას რომელი სჯულიც უნდა სჭეროდა, მაგალითებრ გრიგორიანის, კათოლიკის, მართლმადიდებლის და სხვანიც. მეორენი კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ გრიქორ არწრუნის და სწერდენ, რომ სომეხი მხოლოდ ის არის და ის ჩაითვლება, ვისაც გრიგორიანის სჯული უკავია. მაგალითებრ ამათ სომეხ კათოლიკები სომხათ არ სწამდათ.

გრიქორ არწრუნს კი ამისი არაფერი სწამდა და ამიტომ მათში იყო გახურებული ბრძოლა რაც შეეხება ქართლსა და კახეთში სომხეთის აღდგენას, ამაში იგინი ერთად იყვნენ და და ყველა მათგანი გაფაციცებით ემორჩილებოდა ამ თავის აღორძინების საქმეს და მის შესრულებას.

მათ შეადგინეს საზოგადოება. ეს შრომა რომ უნაყოფოთ არ ჩაივლიდა და მერმისში დიდს სიკეთეს მოიტანდა სომხის ერისათვის, ამას გრიქორ არწრუნიც ასაბუთებდა გაზ. „მშაკის“ ფურცლებით. იგი გაზ. „მშაკში“ აი რას ჰქადაგებდა.

ევროპასა და აზიაში, სომხის ერი ყველაზე უკეთ საქართველოში სცხოვრობს. ასეთი ცხოვრება, როგორიც საქ. აქვთ, სხვაგან არსად სცხოვრობენ ასე. საქართველოში სომხები სცხოვრობენ ბედნიერად, მშვიდად და კარგად. ამიტომ ვალდებულნი ვართ, რომ ვეცადოთ ჩვენ და რაც შეიძლება საქართველოში მრავლად ჩამოვასახლოთ სომხები და დავასახლოთ ქართლ-კახეთში, სადაც ქართველებთან მათ ცხოვრება ერთობ ეადვილებათ.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ, ესენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ჩასახლებულ სომეხთათვის საჭირო იქნებოდა თავისუფალი, ცარიელი ადგილები და ამას კიდევ ქართველები მათ უფასოდ არ დაუთმობდენ, ამიტომ საჭირო იყო ამის ღონისძიებაც, თანხის მოძებნა, ამიტომ, ამით ქართველთაგან ქართლ-კახეთში მამულების შესყიდვა და მერე მაზე სომხების ჩასახლება და დასახლება.

მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ამაში იგინი საწინააღმდეგოს არაფერს ჰხედავდნენ და მძინარ ქართველთაგანაც სულ არაფერის შიში ჰქონდათ, ამიტომ ამათ გამართეს ხელის-მოწერა და ამ საქმისთვის ყველამ თავის შეძლებისდა-გვარად შეიწირეს გადასახადი ხსენებულ საქმის თანხისათვის. მოკლე დროში თანხის ჯამი კარგა დიდს ზომამდის ავიდა.

ამ დროს ეს ვაჟბატონები უფრო შორს წავიდნენ და მათ ისურვეს თავიანთი საზოგადოების სამოქმედო წესდების დაწერაც და მასთან მთავრობასთან წარდგენაც, რომ ამ საზოგადოებას ხიფათი არა მოელოდა რა და მათი მოქმედებაც უზრუნველი ყოფილიყოს. მართლაც, მალე შეადგინეს წესდება და წარუდგინეს დასამტკიცებლად იმ დროის კავკასიის მთავარმართებელს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ამ დროს, ამის გვერდით იყვნენ ისეთი გენერლები, როგორიც იყო გრიგოლ ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, ივანე გივის ძე ამილახვარი და სხვანიც. ამ წესდების შინაარსი მიხ. ნიკოლოზის ძემ ქართველ გენერლებს გააცნო, იგინი ამაზე გაკვირდნენ, გაჰკვირდნენ მით უფრო, რომ წესდებაში აშკარად და მოურიდებლივ იყო ნათქვამი:

რომ სომხის საზოგადოება ამ წესდების თანახმად, ქართველ მემამულეთაგან შეისყიდიან სხვა და სხვა ადგილებს და მერე ადგილებზე ჩამოასახლებენ ოსმალეთის სომხებს და დაასახლებენ, რომელნიც მაშინათვე რუსეთის ქვეშევრდომობასაც მიიღებენ. ეს წესდება მიხ. ნიკ. არ დაამტკიცა და სომხებს უკან დაუბრუნა და ისიც აუწყა, რომ ამისთანა განზრახვის სისრულეში მოყვანა ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგი იქნება და ამიტომ ეს არ შეიძლებაო.

სომხები ამ უარით სახტად დარჩნენ და მათი შემდგარი საზოგადოებაც დაიშალა. მალე ამის ცნობები გაზეთებშიაც გამოაშკარავდა, მალე მისწყდა ამის ხმა და აღარსად ჩამი-ჩუმიც აღარ ისმოდა, გვეგონა, რომ ეს ბოროტი წადილი მათში დავარდა, დაიფუშა და მოისპო. მაგრამ არა საქმე ისე არ აღმოჩნდა, თურმე რაკი ოფიციალურად არ მიეცათ მათ ნება, მაშინ მათ საიდუმლოდ დაიწყეს მოქმედება.

ამ საიდუმლო მოქმედებას მათ მისცეს მეტად ფართო მიმართულება და მათ სომხური გაზეთის საშუალებით დაიწყეს მხურვალედ ქადაგება თვით ოსმალეთის სომხებშიაც და მათ რჩევა დაუწყეს, რომ რაც შეიძლება ოსმალეთიდან სომხებმა მრავლად იწყოს საქართველოში გადასახლება.

ოსმალოს სომხებმა შეისმინეს ეს ქადაგება და იწყეს საქართველოში ჩამოსახლება მრავლათ, საქმე ისე მოეწყო, რომ 1873—1882 წლამდე მთელი თბილისი გაივსო ოსმალოს სომხებით, მერე იცით ვინ იყვნენ ეს სომხები, უბრალო მუშები, ხელოსნები და წვრილმანი ქუჩის ვაჭრები და ჩარჩები, მალე მოეწყო ისიც, რომ თბილისს გარდა სომხებმა იწყეს გამრავლება საქართველოს სოფლებში და უფრო ბორჩალოს მაზრაში, კახეთს და სხვა ამისთანა ქართლისა და კახეთის ადგილებში. ასეთ გადმოსახლებულთა რიცხვი დიდი იყო და ამ გადმოსახლებულებს გარდა კიდევ აი რა მოხდა და რა ოსტატური გადმოსახლება სომხეთა.

თბილისში არსებობდა სახელმწიფო ადგილ-მამულის გამგეობა, ამ გამგეობის თავმჯდომარედ გახლდათ სომეხი,—გენერალი ხატისოვი. მამა ქალაქის მოურავად ყოფილი ხატისოვისა. ამ პირმა იეშმაკა და საქართველოში ჩამოასახლა 10-ათასზე მეტი სომეხი, ყველა ეს სომხები მან რუსის მთავრობას აი როგორ მიაღებინა რუსის ქვეშევრდომებათ. ეს ათი ათასი სომეხი, 1865 წ. კამერალიის აღმწერლებს გამორჩენიათ და ვერ აუწუსხავთ აღწერილს სიაში ვერ შეუტანიათ, ამიტომ ესენი დარჩენილან ასე.

ასეთის ოსტატობით ამან ეს სომხობა რუსის მთავრობას თავის ქვეშევრდომებათ მიაღებინა და მასთანვე მანვე დაურიგა მათ აუარებელი თავისუფალი ადგილები, უმეტესი ნაწილი ბორჩალოსკენ და მის ახლო-მახლო მიდამოებში, სადაც დაასახლა ყველა იგინი და ამისთვის მათ ადგილებს გარდა ნივთიერი დახმარებაც გაუწია. მაშინ იყო ლაპარაკი ხოლმე, რომ ასეთის მოტყუილებით რამდენ გზისმე ყოფილან გადმოსახლებულნი საქართველოში სომხის ლტოლვილნი.

დავანებოთ ასეთ შემოპარებულთა რიცხვის ჩამოსახლების ამბავს და გადავიდეთ ახლა უმთავრესათ გრიქორ არწრუნის ქადაგების იდეას, მის გაფურჩქნას და აღორძინების საქართველოს სომხებში. ჯერეთ ანუ, წინეთ გრიქორ არწრუნის გეგმას ზოგიერთი სომხები კარგი თვალით არ უმზერდენ, ბოლო ჟამს-კი მათ ეს გეგმა სანაქებო წამლათ იცნეს და ის რაც გრიქორ არწრუნის გეგმას აკლდა და ამისთვის სომხობას გული ეთანაღრებოდათ, ეს მუხლები მათ შემატეს ამ ძველ გეგმას და მის მერე დაიწყეს ამ ახალი გაფართოებული გეგმით მოქმედება.

მკითხველს გავაცნობთ ამ ახალს გეგმასაც. ამ ახალმა გეგმამ აი რა გაარკვია სომხებში და მათ როგორ დაუდინჯათ გული. მათის მცნებით აი რა იყო ქართველთა და ქართლისა და კახეთის თავზედ და აქ როგორ რა უნდა მომხდარიყოს, რომ სომხის ერს ფეხი გაემაგრებინათ ამ ადგილებში და ბოლოს აქ აღდგენილიყოს სომხეთი. ამის ცნობა და წადილი მათში საიდუმლოდ იყო დაცული და მას ყველას არ ატყობინებდნენ.

ამ იდეის განხორციელებისათვის, უპირველეს ყოვლისა მათ ფეხი გაიმაგრეს თბილისის გამგეობაში. ეს გამგეობა მათ ხელში ჩაიგდეს, აქ გააჩინეს სომხეთა პარლამენტი და მისის საშუალებით საქართველოს სომხებში დაიწყეს „წიწერნაკის“ გალობა, შემდეგ მათ გაავლეს თვისი ბოროტი წადილი და მასთან დაიწყეს მისი ქადაგება სომხობაში, ხოლო აშკარათ კი არა, არამედ საიდუმლოდ და ოსტატურათ. მათი ქადაგების დევიზათ შემდეგი მოსაზრება გამოიხატა.

ქართლსა და კახეთის ქალაქებსა და სოფლებში სომეხთა რიცხვი დღეს საკმარისათ გახლავს, ამ რიცხვს რომ ერთი ამდენიც მიემატოს, მაშინ სომეხთა რიცხვი ქართველებზედ მეტი იქნება, სომხები დაჰფარავენ ქართველებს.

მაშინ ჩვენ შევეძლება მათი მოხელების შეზღუდვა ადვილათ და მასზედ ჩვენის ტომის ხალხის დასახლება და მათი ფეხის გამაგრება. ამისთანა საქმეთა მოხერხებით ჩვენი სომხობა ქართლ და კახეთში მალე გაიმაგრებს ფეხს, მათვის ფეხის გამაგრებით, ქართველებს მალე გამოეცლებათ ხელიდან მამულები და ამით იგინი ისე შევიწროვდებიან, რომ მალე შეთხელდება და მოისპობა მათი რიცხვი ქართლსა და კახეთში. ერთი სიტყვით აქ ჩვენ უნდა ვიხმაროთ ისეთი მოხერხება, რაც 1830 წ. იქმნა ხმარებული ახალქალაქსა და ახალციხის მაზრებში.

ქართველნი რაკი შევიწროვდებიან, მაშინ იგინი იწყებენ ქართლისა და კახეთიდან აყრას და იმერეთში გადასახლებას, მათვის იმერეთიც საკმარისია, კმარა მათვის რიცხვისათვის.

სომხებმა ადრიდანვე დაიწყეს მოქმედება, გეგმას დღემდე აწარმოებდნენ საიდუმლოდ, ეხლა მას ფარდა აჰხადეს და იგი გამოქვეყნებულ იქმნა აშკარად, რომ მათ წადილი აქვთ, რომ ქართლი და კახეთი სომხეთი გახდეს და იმის ქალაქი თბილისიც სომეხთა ფრისაც იქცეს, მაინც იტყოდნენ ხოლმე: „ფრისიც ხომ ჩვენიაო“. უნდა ვეცადოთ, რომ თბილისი ტფრისა გახდეს, ახალციხე, არზრუმი, ახალქალაქი, ბაიაზეთი, თელავი ხომ სომხური სიტყვაა, ასევე სიღნაღი. ერთი სიტყვით ჩვენთვის მხოლოდ ცდა და შრომა არის საჭირო, თორემ ქართლი და კახეთი მალე შეიძლება ჩვენს საკუთრებათ გამოცხადდეს და მალე ეს ადგილები ჰაისტანად იქცეს, რადგანაც ჩვენ ქართველებზედ მეტი ვიქნებით და მასთან მეტი ცოდნა და შეძლებაც გვაქვსო.

ამ გვარად დღევანდელი მოქმედება სომეხთა სწორეთ ამ გეგმის თანახმათ არის დაწყებული.

**ია შარეშიძე.**

## კორესპონდენცია

### წერილი ხევიდან

უკანასკნელ დროს დიდძალი ლტოლვილი მოაწყდა საქართველოს საზღვარსა, ყოველ დღე მოდიან: ავტომობილებით, ფურგუნებით, ურმებით და ცხენებით ყაზბეგში და აქედან ქ. თბილისში მიემგზავრებიან. მათი სიტყვით ქ. კავკავი დიდ გაჭირებას განიცდის, რადგანაც ჯარს მოცულია დენიკინის ლაშქრით და აღარ იცის ბოლშევიკის მთავრობა, სად გაექცეს მოსალოდნელ მტერს, დენიკინი დაუახლოვდა კავკავს 50 ვერსის მანძილზე და თერგის გაღმა-გამოღმა მხარეს სტ. ზმეიკა და სადგური ელხოტოვი (როსტოვის რკინის გზის შტო) მის ხელთ არი. დენიკინმა თავის ყაზახებით ასტრახანისკენ გასაქცევი გზა შეკრა. სარწმუნო ცნობა ხელთა გვაქვს, რომ კრებებს ჰმართავენ ბოლშევიკები და რა ხედავენ თავიანთ უძლურებას, დენიკინთან საქართველოსკენ გაქცევას ჰპიდავენ. მაგრამ განა ჭირსა და ჟამს თავის ოჯახში მიუშვებს ვინმე თავის ნებითა? განა სამშობლოს მოღალატეებს სამშობლოში მოისვენებათ? იმითაც მტკიცდება ბოლშევიკების დაცემა, რომ დღეს 1 თებერვალს დააპატიმრეს აქ ყაზბეგში ქ. თბილისისკენ მიმავალი ავტომობილებით, ბოლშევიკების ლიდერების ცოლები ოჯახობით და ბარგით სახალხო კომისარის (მინისტრის) ელერდაშვილი, ცინცაძის მეუღლე, ეს ცინცაძე იყო, რომლის ბძანებითაც დახვრიტეს მრავალი მშვიდობის მოყვარე ხალხი და ოფიცრები, ვისაც-კი შეატყვიან არა თანაგრძნობა ბოლშევიკების. აგრეთვე სხვის სახელით გამოუვლია ყაზბეგზე და შეუსწვრია ქ. თბილისში ბოლშევიკების მეთაურების ცოლები. სამხედრო მინისტრის ცოლი ბუტირინისა და აგიტაციის კურსების დირექტორის ცოლი—ენტინზოფის. 4 დღეა რაც ბოლშევიკებმა ლარსის საბაჟო მოხსნეს და ქისტებს შუდამ დღე თავისუფლად მოაქვთ დიდძალი ფქვილი და სიმინდი. დახუსტებულ ბოლშევიკებმა ვეღარ გაიმაგრეს შეიარაღებული ქისტის ჯარი, მოუხდათ ერთ-ერთში სროლა, მოკლულ იქმნა 9 ბოლშევიკი და ერთი ქისტი, რის შემდეგაც მათი დარაჯები ლარსიდან გაიქცნენ. სამარცხვინო ის იყო, როდესაც მათ ლიდერებმა ამ ერთის კვირის წინეთ გამოსცეს დეკრეტი დედათა სქესის მობილიზაციისა, რომლის ძალითაც 17 წლიდან 45 წლამდე მანდილოსანნი უნდა დაჭრილების და სახადით ავათმყოფებისათვის უნდა მოვლა; ამ დეკრეტით ანთავისუფლებდენ მარტო იმას ვისაც 5 წლის ქვეით ბავშვები ეყოლებოდა მოსავლელი. გარეშე ამისა, უნდა ძალად დაეობლებინა ყმაწვილები, დაექცევინა ვაჟკაცი და ოჯახი დაექცია.

**კალმის-წვერა**

### წერილი სამეგრელოდან

არჩევნების მოახლოვებამ აახმაურა პარტიები. ს.-დ. პროპაგანდისტების ქარავანი კარგა ხანია დაიძრა სოფლისკენ. ადგილობრივ აგიტატორებს უხვად ჯამაგირებით მოსულნი: მათი ეშელონები შეუწყვეტლივ მოდიან. არ ვიცი რომელი მარჯვენა იძლევა ამისთანა დაუზრეტელ წყაროს... სერობო არჩევნებში ს.-დ. დამარცხდა ესერებთა ხმებით. წარსულ ზაფხულში ს.-დ. მთავრობის მოქმედებით უკმაყოფილო ელემენტებმა ბოლშევიზმი თიჩმეს და შექმნეს ეგრედ წოდებული სამეგრელოს ფრონტი. ამ ფრონტს უმთავრესად ხელმძღვანელობდნენ დამარცხებული რუსეთის ჯარიდან. მათი მოთხოვნილების უმთავრესი წუხლი იყო დაბრუნება რუსეთის წიაღში. მოძრაობის ლიკვიდაციისა და ბოლშევიკების კანონ გარეშე გამოცხადების შემდეგ უკმაყოფილოთა ხმები ესერებმა დაიჩემეს მემკვიდრეობის ძალით და მათის მეოხებით გაიმარჯვეს კიდევაც წარსულ არჩევნებში. ს.-დ. პირველად იგემა მგონი ჩვენში დამარცხება ისაც დემოკრატიულ არჩევნებში და ამიტომ იგი არაფერს მოერიდება თავის პირვანდელ პოზიციების დასაბრუნებლად. ასე წარმოიდგინეთ ადმინისტრაციაც გაიჭრა თითქმის ერთიანად საპროპაგანდოთ. თავის მხრივ ესერებიც ემზადებიან ომის მისაღებათ: მათ უკვე აამოქმედეს ყოფილი რუსეთის ჯარის კაცები,—ეს მათი ავანგარდი—ბოლშევიკებიდან მემკვიდრეობით გადასული. ფედერალისტები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მისიას თუ მოვალეობას,—ბატონის სუფრასთან ერიალს. აქამდის ს.-დ. იყვნენ ბლოკში; ეხლა, როცა იგრძნეს თავისი ბოლო ნავის დაავადება, ესერებს ეკეთებიან, შეიძლება რამე დავაცინცლოთო.

ვის დარჩება გამარჯვება ჯერ არ ვიცით, მაგრამ თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას ერთი რამ: ვერც ს.-დემოკრატები დაიბრუნებენ თავიანთ პოზიციებს და ვერც ესერები შეინარჩუნებენ სხვისი გამოჯავრებით მიღებულ ხმებს.

მასა უკვე ფხიზლდება. ეს პროცესი მიმდინარეობდა მეტად ნელის ტემპით, მაგრამ უკანასკნელ დროის ამბებმა დააჩქარეს იგი და იმედია, რომ დამფუძნებელ კრების დეპუტატები არ იქნებიან არჩეულნი იმ გამოურკვეველი ხმებით, რომელნიც აბატონებდნენ სრულებით შემთხვევითი ხმებს. ამის უტყუარი ნიშნები უკვე არის. მასსა დიდს ინტერესს იჩენს არჩევნებისადმი; მას არ უნდა თვალ ახვეული მივიდეს საარჩევნო ყუთთან როგორც ეს ხდებოდა ხოლმე აქამდის. თითქმის ოთხი წლის განმავლობაში სოციალისტურ ბურუსში ყოფნამ, დამსხლამ საზოგადო ცხოვრებას ყველა საფუძვლებისა, სრული უწესოებამ და ანარქიამ, რომელიც სუფევს სოფელში, მოადუნა მასის კუნთები, დააკარგვინა იმედი, რომ იგი ოდესმე ეღირსება ცხოვრების წესიერ პირობებს და ამით იყო გამოწვეული ის პასივობა და ინერტობა, რომელიც ახასიათებდა მას აქამდის. დამფუძნებელ კრების მოახლოვებამ გაუღვიძა ხალხს იმედი, რომ იგი მის მეოხებით ეღირსება ნორმალ ცხოვრებას. თავის თავად ცხადია, რომ მასის ამ გამოღვიძებასთან დაკავშირებული იქნებოდა ზრდა ეროვნულ დემოკრატიისა, რაც უკვე ხდება. იმდენად საშიში გახდა მოწინააღმდეგისათვის ეს ზრდა, რომ დასავლეთ-სამეგრელოს თითქმის მომეტებულ ქალაქებში გადადებულ იქმნა არჩევნები. საბუთი რომ ვერ გამონახეს გადასადებლად, მაგალითად ზუგდიდში. ამ აქტს საბჭოს კრებაზე ს.-დემოკრატების ფრაქციის თავმჯდომარე ამართლებდა იმას, რომ კანონში არაფერი სწერია მისი დამრღვევის სასჯელზე. ეროვნულ-დემოკრატები შეწევული არიან ძალმომრეობას სოც.-დემოკრატების მხრივ; მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ რომ ეს დაბრკოლება ვერ შეაჩერებს ეროვნულ-დემოკრატიის ზრდას, პროცესს, რაც უკვე იგრძნეს მოწინააღმდეგეებმაც.

N.

## დამფუძნ. კრების არჩევნები დუშეთის მაზრაში

მეტის მეტი გაცხარებული მუშაობაა დამფუძნებელი კრებისთვის დუშეთის მაზრაში ყველა პარტიებისაგან. სოც.-დემოკრატ-მენშევიკები ძველ ნაცად გზას მისდევენ, ათასნაირ ჭორებთან ერთად ყველა სოფლებში აარსებენ „ორგანიზაციებს“ რომლის სათავეში კომისარ-მილიციონერ-გვარდიელებს უყენებენ. ფედერალისტებიც არავითარ ძალას არ ზოგავენ, რომ თავის თაინების მორევში სხვებიც აბანონ. მაგრამ აღსანიშნავია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა ამ მაზრაში. დღემდის ქალ. დუშეთში არ არსებობდა პარტიის ორგანიზაცია—16 იანვარს (ძვ. სტ.) კი დაარსდა. დიდ ძალი ხალხი ეწერება ამ ახლად დაარსებულ ორგანიზაციაში და ახლო მომავალი დაგვანახვებს რომ თუ დღემდის დუშეთს ეწოდებოდა „ფედერალისტების ქალაქი“ დღეიდან იგი ერ.-დემოკრატებისა იქნება. სოფლადაც დიდი სიმპატია მოიპოვა ამ პარტიამ. რომ სასტიკ ზომებს არ ხმარობდენ მათ წინააღმდეგ მთავრობასთან ერთად მოწინააღმდეგე პარტიები სრულ დი დარწმუნებული ვართ რომ ხალხი გონზეა მოსული და მუშაობაც შესაფერ ნაყოფს გამოიღებს. ურჩევთ დუშეთის მოქალაქეებს რომ „შიშზე“ ხელი აიღონ და როცა „სიაში“ ეწერებიან—მალულად მოწინაიღმდეგე პარტიებთანაც აღიარონ თავის გულის ნადები—რაიც სულიერად აამაღლებს პარტიულ ამხანაგებს.

ყველაზე უფრო ერთ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება: ვიცით რომ დუშეთის მაზრაში არის ისეთი „მიგდებული კუთხეები“ სადაც კომისარ-მილიციონერების მეტი არავინ იქნება ყუთთან. ამისთანა ადგილზე აი რა მოხდა პირველ არჩევნების დროს: სოფ. არბოლეთში (ოსების სოფელია) ქალ. დუშეთიდან 8 ვერსზე. კომისარმა ვერ შეკრიბა ხალხი—ადგა და პაკეტები აავსო № 1 ნომრით იმდენი რამდენსაც ურჩევნებდა „აღწერის სია“ ჩვენ შენიშვნაზე გვიპასუხა: „მა იქ ხომ არ ულოდინებდიო“. ამისთანა „მიხოები“ ეხლაც ბევრი მოიპოვება და უნდა ზომები იქნეს მიღებული რომ ყველა ყუთთან იყოს ერ.-დემოკ. პარტიის წარმომადგენელი, ვისთვისაა დამალული, რომ ეს გაბატონებული პარტია თავის სასარგებლოდ იყენებს მთავრობასაც და მილიციონერებსაც. სოფლად დიდი გავლენა აქვს იმ პარტიას, რომლის ხელშიდაც მთავრობის აპარატია. დუშეთის საორგანიზაციო კრებაზე დაევალათ ორგან. წევრთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შეიტანონ განცხადება მთავრობაში, რათა სოფლად „კომისიებში" თავმჯდომარედ თუ წევრად არ იყვნენ ის „ნაციმბირალი" კომისრები, რომლის ხმაც პატიოსან მშრომელ ხალხს ძილს უფრთხობს—თუ ეს ასე იქნება—მაშინ „სამართლით მოჭრილი ხელი არავის ეტკინება".

სრული დარწმუნებული ვართ რომ თუ მთავრობის კაცები დუშეთის მაზრაში „სინდისიერად" აწარმოებენ საქმეს მათი პარტია იმას ვეღარ ნახავს—რასაც უნახავს.

**მთის მოძღვარი.**

# პარტიული ცხოვრება

**თბილისის დამფუძნებელ კრების მე-II, III, IV და V უბნების ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო კომიტეტი.**

(რომელიც იმყოფება სასახლის ქ. № 5, მთავარ კომიტეტის ბინაზე), ამით აცხადებს, რომ ყველა საკითხებისთვის, რომლებიც ეხებიან ამ უბნებს, უნდა მიჰმართონ კომიტეტის კანცელარიას, ყოველ დღე.

## 8 და 9 უბნების შეერთებული კრება.

დღეს, 8 თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე მესამე სასამართლოს განყოფილებაში დანიშნულია საქართველოს ერ.-დემ. პარტიის წევრთა მერვე და მეცხრე უბნებში მცხოვრებთა **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. ამავ კრებაზე აუცილებლივ უნდა გამოცხადდნენ ადგილობრივ მცხოვრების ჩვენი პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობაც.

## 6 და 7 უბნების კრება

დღეს, 8 თებერვალს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია წმინდა მარინეს ეკლესიის სამრევლო სკოლაში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ამ უბნებში მცხოვრებ წევრთა და თანამოაზრეთა კრება. კრების საგანია დამფუძნებელ კრების შესახებ კითხვების განხილვა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს მოსწავლე ახალგაზრდობაც.

## 5 უბნის კრება

კვირას. 9 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე პუშკინის საქალაქო სკოლაში (კახეთის ქ. № 56) დანიშნულია საქ. ერ.-დემოკ. პარტიის წევრთა მეხუთე უბნის **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს ადგილობრივ მცხოვრების პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ორშაბათს, 10 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, ყოფილ ხარფუხის კლუბში (მიხეილის ქუჩა) დანიშნულია საქ. ერ.-დემოკრატიულ პარტიის წევრთა მეცხრე და მეთორმეტე უბნებში მცხოვრებთა **საარჩევნო კრება.** ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრებას აუცილებლივ უნდა დაესწროს ადგილობრივ მცხოვრებთა პარტიის მოსწავლე ახალგაზრდობა.

ყველა უბნების კრებებზე მომხსენებლები იქნებიან პარტიის მთავარ კომიტეტის წევრები: **გიორგი გვაზავა, პართენ გოთუა, ალექსანდრე ასათიანი, მარგველაშვილი** და სხვ.

# რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

(ამონაწერი დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიდან).

**საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა.**

53. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით.

54. საარჩევნო ბარათები გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს.

55. თვითეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას; ამ სია'ში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება, ხრც ერთი კანდიდატის მეორის ადგილზე გადატანა. ბარათს უნდა ჰქონდეს ნუმერი საკანდიდატო სიისა და სახელწოდება ამ სიის წარმომადგენელი ორგავიზაციისა, თუ მას ორგანიზაციის სახელი აქვს დარქმული.

56. კონვერტები საარჩევნო ბარათებისთვის უნდა იყოს ერთნაირი, არაგამჭვირვალი სუფთა და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალურ საარჩევნო კომისიისა.

57. საარჩევნო ბარათები და კონვერტები მზადდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

ყველა წარმოდგენილი საკანდიდატო სიებისთვის მზადდება თანასწორი რაოდენობა საარჩევნო ბარათებისა.

59. ბარათები და კონვერტები დამზადებისთანავე დაეგზავნება ცენტრალური კომისიის განკარგულებით მთავარ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

61. მთავარი საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თვითეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ საკანდიდატო სიისა და სახელობითი მოწმობა ქალაქის ამომრჩევლებს.

იმას, ვისაც უფლება აქვს მიიღოს სახელობითი მოწმობა და საარჩევნო ბარათები, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია, მიეცემა: მოწმობა—ქალაქის მთავარ კომისიაში არჩევნების დღემდე, საარჩევნო ბარათები კი ქალაქის საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღის.

62. საქალაქო და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიები ამზადებენ პირ-ამოჭრილ საარჩევნო ყუთებს, საარჩევნო ბარათების ჩასაშვებად და უგზავნიან მათ მცირე საარჩევნო ერთეულებს.

64. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი, ან რამდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს, არჩევნების საიდუმლოების დაურღვევლად შეეძლოს ჩასდოს კონვერტში საარჩევნო ბარათი.

67. საარჩევნო შენობაში არ შეიშვებიან: 1) შეიარაღებულნი და 2) ისინი. ვისაც ცხადათ ეტყობა, რომ მთვრალია.

68: თავმჯდომარეს უფლება აქვს საჭიროების მიხედვით, თანხმად კომისიის დადგენილებისა, მოსთხოვოს სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებას გამოუგზავნონ მილიციელები, ან ჯარისკაცები.

მილიციელები და ჯარისკაცები სავსებით ემორჩილებიან თავმჯდომარეს და იმყოფებიან მხოლოდ მის განკარგულებაში.

69. თუ წეს-რიგი დაირღვა. ან თუ ვინმე კომისიის ან მისი თავმჯდომარის განკარგულებას არ დაემორჩილა, კომისიას შეუძლია დაადგინოს შეიყვანოს მილიციელები და ჯარისკაცები შენობაში, სადაც არჩევნები სწარმოებს. თუ თავმჯდომარის მოთხოვნა არაა, ისე საარჩევნო შენობაში არავითარი შეიარაღებული ძალის შეყვანა არ შეიძლება.

71. საარჩევნო ბარათი ამომრჩეველმა თვითონ უნდა მიიტანოს და ჩააგდოს საარჩევნო ყუთში.

73. კონვერტს რომ მიიღებს ამომრჩეველი, მიდის მოფარებულ ადგილას და იქ ჩასდებს კონვერტში საარჩევნო ბარათს, დაბრუნდება საარჩევნო ყუთთან და გადასცემს დაბეჭდილ კონვერტს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც მის თვალწინ ჩააგდებს კონვერტს ყუთში.

76. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებისამებრ დამზადებულ საარჩევნო ბარათებთან ერთად ნამდვილ ბარათებად ჩითვლება ისინიც, რომელთა ტექსტი იმ ნაირივეა.

**შენიშვნა.** საპატიო შემთხვევაში საარჩევნო ბარათების მაგიერ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს სუფთა ქაღალდზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი შესაფერისი ნომერი.

77. ნამდვილად არ ჩაითვლება: 1) საარჩევნო ბარათი, რომელიც არ შეეფერება მე-54, 55, 56 მუხლებს; 2) ბარათებს, რომელიც შეუვსებელია; 3) ბარათი, ხელმოწერილი ამომჩევლის მიერ, ან ისეთი, რომელზედაც წაშლილია რაიმე, ან ამოფხეკილი ან ზედ რაიმე გამოსაცნობი ნიშანი აზის, ან თუ ისეთ კონვერტში დევს რომელთაც ასეთი ნიშნები აქვთ; 4) თუ კონვერტში ერთზე მეტია ბარათი და მათი შინაარსი ერთი და იგივე არაა; თუ ერთ კონვერტში რამდენი ერთისა და იმავე შინაარსის ბარათია, ყველა ერთ ბარათად ჩაითვლება.

**არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა.**

93. ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რამე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო მოწოდებას, ცნობას ან სიას ამომრჩეველთა იმ ჯგუფებისას, რომელთაც საკანდიდატო სიები წარმოუდგენიათ, დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთის თვის ვადით ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა,

100. ვინც პიროვნებაზე ძალადობითა, დასჯელის (наказуемый) მუქარითა, მოტყუილებით, ძალაუფლების ბოროტად მოხმარებით ან ეკონომიურის დამოკიდებულებს საშუალებით ხელს შეუშლის საარჩევნო უფლების მქონეს თავისუფლად განახორციელოს ეს უფლება,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

101. ვინც ძალადონის საშუალებით, მუქარით, უწესოების მოხდენით, საარჩევნო სიების ან საარჩევნო ბარათების და ყუთების გაფუჭებით, ან საარჩევნო კომისიის წევრებზე ძალადობის ხმარებით ხელს შეუშლის არჩევნების წესიერად წარმოებას საარჩევნო კომისიის შენობაში,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით.

102. ვინც უწესოებით, დაშინებით ან მიმოსვლის საშუალების მოსპობით ხელს შეუშლის ამომრჩეველთა ნაწილს გამოიყენოს საარჩევნო უფლება,—დასჯილ იქნება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს ამის წლის ვადისა.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

104. ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადი ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება სატუსაღოში ჩამწყვდევით.

დაისჯება აგრეთვე შეცდა ასეთის დანაშაულის ჩადენისა.

ასეთივე სასჯელით დაისჯება ამომრჩეველი, რომელსაც მოუთხოვნია ან მიუღია პირადი რამ სარგებლობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულის მიზნით.

100. ვინც განზრახ დაამახინჯებს ხმის მიცემის შედეგებს საარჩევნო ბარათების ჩამორთმევისა, დათვლისა ან გამოქვეყნების დროს, ან და განზრახ გააფუჭებს, ან მოიტაცებს მიცემულ საარჩევნო ბარათებს ან საარჩევნო წარმოებას, ან სიყალბით ჩაუმატებს საარჩევნო ბარათებს ან შესცვლის საარჩევნო წარმოებას,—დაისჯება გამასწორებელ სახლში ჩამწყვდევით არა უმეტეს სამის წლის ვადისა.

ამ დანაშაულის ჩადენის შეცდაც დაისჯება.

108. ვინც, წინააღმდეგ კანონისა, გამოაშკარავებს ხმის მიცემის საიდუმლოებას დამფუძნებელ კრების არჩევნებში,—დაისჯება დატუსაღებით.

190. წევრი საარჩევნო კომისიისა ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც განზრახ დაარღვევს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას იმ მიზნით, რომ გავლენა მოახდინოს არჩევნების მსვლელობაზე ამა თუ იმ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ, თუ ამისთვის უფრო სასტიკი სასჯელი არ მოელის,—დაისჯება დატუსაღებით.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

# ჩვენი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის

# სია № 2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე, პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგაციის წევრი საზავო კონფერენციაზე.
2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.
3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, პარლამენტის წევრი, გაზ. „საქართველოს" რედაქტორი.
4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, ნაფიცი ვექილი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.
5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
6. მაჩავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ნაფიცი ვექილი, პარლამენტის წევრი.
7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე, ჟურნალისტი.
9. ჩირაქაძე შალვა გრიგოლის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.
10. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე, პარლამენტის წევრი, იურისტი.
11. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, პარლამენტის წევრი, ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
12. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, სამეურნეო ბანკის დირექტორი, ქალაქის ხმოსანი.
13. მარგველაშვილი ტიტე თედორის ძე, ფილოსოფიის დოქტორი, მთავარი საჯარო ინსტრუქტორი.
14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.
15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი.
16. წერეთელი გაბრიელ გიორგის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.
17. შავგულიძე მიხეილ ერეკლეს ძე, ფილოსოფიის დოქტორი.
18. ნიჟარაძე ილია მანუჩარის ძე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი.
19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, ნავთის მრეწველი.
20. კეკელიძე კორნელი-დეკანოზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
21. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ჟურნალისტი, ქართველი ისრაელი.
22. წერეთელ ნიკოლოზ ესტატეს ძე, თბილისის ხმოსანი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
23. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ქუთაისის ეპარქ. გიმნაზიის დირექტორი.
24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ფინანსისტი. საზოგადო მოღვაწე.
25. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე, ლიტერატორი.
26. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, სამუნიციპალო მოღვაწე.
27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე.
28. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, მწერალი, საკათალიკოსო საბჭოს წევრი.
29. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი.
30. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე.
31. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
32. პურადიშვილი ივანე ისაკის ძე, აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.
33. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქართულ იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
34. დადიანი იოსებ იულონის ძე, ინჟინერი, ნავთის მრეწველი.
25. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე, იურისტი, კომერსანტი.
36. მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, იურისტი, ნავთის მრეწველი.
37. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.
38. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე, ინჟინერი შავი ქვის მრეწველი.
39. მეუნარგია იონა მიხეილის ძე, მწერალი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი.
40. სულხანიშვილი მოსე ივანეს ძე, გერმანულ-კავკასიური ბანკის დირექტორი.
41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
42. ჯავახიშვილი (ადამიშვილი) მიხეილ საბას ძე, ჟურნალისტი.
43. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე, მასწავლებელი.
44. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე, ექიმი, ბათომის ხმოსანი.
45. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, ქიმიკოსი, გორის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე.
46. ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
47. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, საქართველოს პრესბიუროს თავმჯდომარე.
48. ნასიძე ივანე აბრამის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
49. ბერულაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, მრეწველი, თბილისის საბჭოს ხმოსანი.
50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერმოლოზის ძე, მწერალი.
51. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
52. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
53. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე, ნოტარიუსი, ბელეტრისტი.
54. გველესიანი იოსებ იოსების ძე, ვაჭარი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
55. დადიანი ილია ილიას ძე, იურისტი, ზუგდიდის ქალაქის თავი.
56. ჯაიანი ბესარიონ ლევანის ძე, შულატერი.
57. გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე, მასწავლებელი.
58. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე, ნაფიცი ვექილი.
60. აბულაძიანი ვარლამ სოლომონის ძე, პროვიზორი.
61. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე, ამიერ-კავკასიის ბანკის რწმუნებული ბათუმში.
62. კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე, თელავის გიმნაზიის დირექტორი.
63. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის თავის მოადგილე.
64. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე, კომერციის ინჟინერი.
65. გოგიტიძე გერმან იოსების ძე, ოზურგეთის ხმოსანი.
66. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე, მრეწველი.
67. ჯავახიშვილი იასონ ელიზბარის ძე, იურისტი.
68. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, ექიმი.
69. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი.
70. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
71. ყუფარაძე ბარნაბ სოლომონის ძე, ქუთაისის ვაჭ.-მრეწველთა კავშირის გამგეობ. თავმჯდომ. ამხანაგი.
72. კასრაძე დავით ილარიონის ძე, იურისტი.
73. უზნაძე პავლე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის საურთიერთო ბანკის დირექტორი.
74. აბაშიძე გიორგი მინას ძე, პედაგოგი, მწერალი.
75. ხუნდაძე ლევან ხოლოდანის ძე, ჭიათურის ქალაქის გამგეობის წევრი.
76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, აგრონომი, სოფლის მეურნე.
77. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე, სოფლის მეურნე.
78. იშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.
79. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე, ექიმი, გორის საერობო ხმოსანი.
80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე, ექიმი.
81. ბებერიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, გორის გიმნაზიის ინსპექტორი.
82. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე, ახალსენაკის ქალაქის ხმოსანი.
83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, გაზეთ „ახალი ძალის" რედაქტორი.
84. ქლენტი ილარიონ მოსეს ძე, პედაგოგი.
85. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე, ექიმი.
86. დოლაქიშვილი ევგენი გიორგის ძე, მასწავლებელი მეურნე.
87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოს წევრი.
88. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ქალაქის ხმოსანი.
89. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოოპერატორი.
90. ჩიბალაშვილი ივანე თევდორეს ძე, სოფლის მეურნე.
91. შამანაური მიხეილ შიოს ძე, სოფლის მეურნე.
92. დათიაშვილი ბესარიონ ბესარიონის ძე, სოფლის მეურნე.
93. ბერძენიშვილი ივანე სიმონის ძე, ხელოსანი.
94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, არტილერიის ჯარისკაცი.
95. კვარაცხელია ლავრენტი თედორეს ძე, ზუგდიდის ქალაქის ხმოსანი.
96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე, სოფლის მეურნე.

ექიმი

**ნიკ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.— 25—2305

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

**მიქელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ

**ა. ვ. ლევენშტეინისა**

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)

# საქართველოს მამულიშვილნო

# ახლოვდება დამფუძნებელ კრების არჩევნები

ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

**ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.**

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები. დაიცავით თავისუფლება დაკანონიერება.

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.